პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 31 (1201) | ხუთშაბათი, 13 მარტი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 30 კაპ.



მოსკოვში, სპორტის სასახლეში დამთავრდა ძალოსანთა საერთაშორისო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ირანის, ბულგარეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები.

მჩატე წონაში ბრძოლა პირველი ადგილისათვის გაიმართა ჩინელ ჩენ ცზინ-კაისა და საბჭოთა ძალოსანს ს ულიანოვს შორის. გამარჯვება წილად ხვდა ჩინელ სპორტსმენს, რომელმაც სამჭიდის ჯამში დააგროვა 317,5 კგ. ულიანოვი მეორე ადგილზე გამოვიდა. ქვემსუბუქ წონაში მაღალი ოსტატობა გამოავლინა მსოფლიოს ჩემპიონმა ე. მინაევმა. მან დაიკავა პირველი ადგილი შედეგით — 355 კგ. ირანელი ძალოსანი სამბოლი მეორე ადგილზე დარჩა.

მსუბუქ წონაშიც პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი, მსოფლიოს ჩემპიონი ვ. ბუშუევი და ახალგაზრდა ჩინელი ძალოსანი ხუან ცზიან-ხოი. ორივე სპორტსმენმა სამჭიდის ჯამში აჩვენა ერთნაირი შედეგი — 382,5 კგ. გამარჯვება მიეკუთვნა ცზიან-ხოის, რომელიც თავის მეტოქეზე უფრო ნაკლებს იწონიდა.

ქვესაშუალო წონაში საბჭოთა გუნდმა გამოიყვანა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ბოგდანოვსკი. მაგრამ მას პირველი ადგილის დათმობა მოუხდა ამერიკელი ტ. კონოსათვის, რომელმაც სამჭიდის ჯამში 417,5 კგ დააგროვა. ბოგდანოვსკი მას 5 კილოგრამით ჩამორჩა. საშუალო წონაში საუკეთესო შედეგი აჩვენა საბჭოთა გუნდის წარმომადგენელმა რ. პლიუკფელდერმა — 430 კილოგრამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩინელი ჩჟაო ცინ-კუეი. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ა. ვორობიოვმა დააგროვა 457,5 კილოგრამი და პირველი ადგილი დაიკავა ქვემძიმე წონაში. მძიმე წონის ძალოსანთა შორის უძლიერესი იყო მსოფლიო ჩემპიონი ა. მედვედევი — 490 კილოგრამი.

* * *

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ი. აბაჯიევი, ხუან ცზიან-იუ და ვ. ბუშუევი ულოცავენ ერთმანეთს საპრიზო ადგილების დაკავებას.

ფოტო ნ. სიტნიკოვისა

## რომელი ბურთით ითამაშებენ

ეს საკითხი ჯერ კიდევ საიდუმლოებას წარმოადგენს საზოგადოებრიობისათვის, თუმცა ფეხბურთის მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა იგი უკვე გადაწყვიტა. სპეციალურმა კომისიამ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიიღო ბურთები. სტოკჰოლმის საორგანიზაციო კომიტეტის სპორტული ოთახის კედლები ზანზარებდნენ ბურთების დარტყმებისაგან, რომელსაც სცდიდა ფიფა-ს სპეციალური კომისია. 102 ბურთიდან 36 უვარგისი აღმოჩნდა: ხუთი ბურთი მძიმე იყო ვიდრე დადგენილია წესით, 10 ბურთი მსუბუქი იყო, ხოლო 21 ბურთის ზომა არ შეესაბამებოდა იმ მოთხოვნებს, რომელიც წამოყენებული ჰქონდა კომისიას.

საბოლოოდ კომისიამ დაადგინა, რომ მსოფლიო პირველობაზე გამოყენებულ იქნება ბურთები ნომრით 70. საინტერესოა, რომ არავინ იცის რომელი ქვეყნისაა ეს ბურთი.

საორგანიზაციო კომისიის წევრებს სტენლი როუსს, შარპს, გრანატკინს, ვილიცკის წარმოდგენა არა აქვთ რომელი ფირმის მიერ აქნა გამოშვებული ბურთი, თუმცა თავიანთი ხელმოწერით დაადასტურეს, რომ ბურთი № 70 საუკეთესოა.

## დიდი მატჩი

ოთხი დღის შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო სმისლოვის ავადმყოფობით, 11 მარტს გაიმართა მატჩ-რევანშის მესამე პარტია.

მსოფლიო ჩემპიონმა, რომელიც თეთრებით იყო, თამაში კვლავ მეფის პაიკით დაიწყო. ბოტვინიკმა, როგორც პირველ პარტიაში, ისე აქაც აირჩია კარო-კანის დაცვა. მაგრამ ამჯერად მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს უკანასკნელი 50 წლის მანძილზე პოპულარული ვარიანტი, ამიტომ მათ პირველ 15 სვლას მოანდომეს დაახლოებით ერთი საათი. მე-16 სვლაზე, როდესაც უნდა შემუშავებულიყო შემდგომი თამაშის გეგმა, მსოფლიო ჩემპიონმა 45 წუთი იფიქრა. მაგრამ მას ახალი არაფერი არ მოუფიქრებია. თამაში წარიმართა ცნობილი გზით.

სმისლოვმა წამოიწყო ოპერაციები ლაზიერის ფრთაზე, სადაც ამ დროს იმყოფებოდა ორივე მეტოქის მეფე. ბოტვინიკს თუმცა არ ჰქონდა კონტრთამაში, მაგრამ მისი პოზიცია საიმედოდ გამოიყურებოდა. უცებ ამოძრავდა სმისლოვის ლაზიერის ფრთის პაიკი, რომელსაც უნდა დაესუსტებინა შავი მეფის მისადგომები. მაგრამ ბოტვინიკმა ლაზიერების გაცვლით შეასუსტა შეტევის ძალა.

დარბაზში ატყდა ხმაური. ფოიეში მყოფნიც კი ხედავდნენ სმისლოვის შეცდომას.

* * *

ვ. სმისლოვი—მ. ბოტვინიკი



სმისლოვმა ნაცვლად 28 კe5-ისა ითამაშა 28. მe5, რის შემდეგ ბოტვინიკმა ეტლში მოიგო ორი ფიგურა 28. ... ე:c3 29 cb+ მფ:b7 30 ე:c3 კe5

მოპოვებული მატერიალური უპირატესობა ჩვეულებრივ საკმარისია გამარჯვების მოსაპოვებლად. ბოტვინიკმა შემდგომ გეგმიანად გაცვალა ეტლი და ძლიერ პოზიციებზე დააყენა თავისი მსუბუქი ფიგურები.

პარტია გადაიდო ბოტვინიკისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

## „იმედის თასი"

პოიანის (რუმინეთი) სამთო სათხილამურო ბაზებზე დამთავრდა „იმედის თასის" გათამაშება რუმინეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ჭაბუკ მოთხილამურეთა შორის. შეჯიბრებაში, რომელიც ტარდებოდა სლალომსა და სწრაფდაშვებაში პირველი დღიდანვე დაწინაურდა საფრანგეთის გუნდი, რომელმაც ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა და პირველობა მოიპოვა. ავსტრიელ მოთხილამურეთა ძლიერ კოლექტივს სამშობლოში დაბრუნების გამო (სწორედ ამ დროს ტარდებოდა ავსტრიის პირველობა ჭაბუკთა გუნდებს შორის) ფინალში მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ მეორე ადგილზე რუმინეთის გუნდი გამოვიდა. მესამე ადგილი წილად ხვდა პოლონეთის მოთხილამურეთა კოლექტივს.

## ფინელთა დიდი წარმატება

დამთავრდა მსოფლიოს პირველობა სათხილამურო სპორტში

„სათხილამურო მარათონი". ასე უწოდებენ სპორტის ამ სახეობის მოყვარულები თხილამურებით 50 კილომეტრზე რბენას. იგი ერთ-ერთი ურთულესი შეჯიბრებაა და სპორტსმენისაგან მოითხოვს არა მარტო დიდ გამძლეობას, არამედ კარგ ტაქტიკურ ჩვევებსაც. საინტერესო გამოდგა სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლა, სადაც საპატიო წოდებას ერთმანეთს ეცილებოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ერნბერგი (შვეცია), ფინელები ჰაკულინენი, კოლეჰმაინენი, ვიტანენი, კოლჩინი (სსრ კავშირი) და სხვ.

რბოლის დაწყებისთანავე ლიდერობისათვის ბრძოლა გაჩაღდა ფინელებს შორის. სხვა ქვეყნის სპორტსმენებიდან ამ ჯგუფში მხოლოდ ერნბერგი იყო, რომელიც მალე სათავეში ჩაუდგა დისტანციას, მაგრამ მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა ჰაკულინენი. ეს უკანასკნელი მე-13 კილომეტრზე უკვე ყველაზე წინ იყო და საუკეთესო დროში დაამთავრა პირველი წრე — 1:10.26,2. მაგრამ ფინელ სპორტსმენს თანდათან დაღლა დაეტყო, რითაც კარგად ისარგებლა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, წინ გაიჭრა და პირველმა დაამთავრა ეს ძნელი დისტანცია — 2:56.21,9. მეორე ადგილი დაიკავა ჰაკულინენმა, მესამე —ვიტანენმა. საბჭოთა სპორტსმენებიდან კოლჩინი მეექვსე იყო, ხოლო ტერენტიევი — მეათე.

მსოფლიო პირველობის უკანასკნელ დღეს გაიმართა მსოფლიოს უძლიერეს მხტომელთა შეჯიბრება, რომელსაც 80 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კეკონენი, ფინეთის მთავრობის წევრები და სხვ.

მსოფლიოს უძლიერესი მხტომელის სახელისათვის იბრძოდა 15 ქვეყნის 61 წარმომადგენელი. აქ ყველას აჯობა ფინეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ი. კიარკინენმა, რომელმაც მოაგროვა 224,5 ქულა. იგი პირველ ცდაზე გადახტა 66,5 მეტრზე, ხოლო მეორეზე აჩვენა — 74 მეტრი. მეორე ადგილი დაიკავა ე. ჰიუტიემ (ფინეთი), მესამე — გ. რეკნაგელმა (გდრ). საბჭოთა სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდათ ნ. შამოვსა და ნ. კამენსკის, რომლებმაც ფინელ კ. კიარკინენთან ერთად გაიყვეს IX-XI ადგილები.



ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონმა სპორტის ოსტატმა ე. მუხინამ კარგად იცის, რომ სპორტული წარმატების საწინდარი სრულწლიური წვრთნაა. ამიტომ იგი ზამთრის პერიოდში სისტემატურად მეცადინეობდა, ენერგიულად ემზადებოდა მომავალი შეჯიბრებებისათვის მწვრთნელ პ. პახომოვის ხელმძღვანელობით.

სურათზე: მწვრთნელი პ. პახომოვი ე. მუხინასთან ერთად აზუსტებს მოძრაობის ტექნიკას.

ფოტო ლ. დორენსკისა

საკდესის ფოტოქრონიკა

# მეცნიერების სამსახურში



⊙

**პროფესორი ს. ნარიკაშვილი ლაბორატორიაში ცდაზე მუშაობის დროს.**

⊙

ამ წერილში გვსურს მკითხველებს ვესაუბროთ ფიზიოლოგიის მეცნიერების ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენლის შესახებ, მეცნიერებისა, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, როგორც ექიმისათვის და მუსიკოსისათვის, ისევე პედაგოგისა და მუშისათვის, ფსიქოლოგისა და სპორტსმენისათვის.

... ჩვენ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში ვართ. ადამიანის ფიზიოლოგიის კათედრაზე.

ლაბორატორიაში მიმდინარეობს მორიგი ცდისათვის მზადება. ასისტენტები გარს შემოხვევიან თეთრ საექიმო ხალათში გამოწყობილ დაბალ, ჩასკვნილ ადამიანს, რომელიც ჩაფიქრებით შესცქერის ეკრანიზებულ კამერას. ეს პროფესორი სერგი პავლეს-ძე ნარიკაშვილია, ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე, რომელიც საქართველოში სპორტული ფიზიოლოგიის ფუძემდებლად ითვლება. ეკრანის უკან კი, საველოსიპედო მაგიდაზე ზის ინსტიტუტის სტუდენტი, რომლის თავზე და ფეხის კუნთებზე დამაგრებულია პატარა აპარატთან დაკავშირებული ელექტროდები. ტარდება ცდა რომლის მიზანია წვრთნის დროს სპორტსმენში მამოძრავებელი ჩვევების დადგინების გამოკვლევა...

ასეთი ცდები ყოველდღიურად ტარდება და ყოველდღიურადვე სულ ახალ-ახალი, ძვირფასი მეცნიერული ცნობები იკრიბება კათედრის წევრთა გაერთიანებული ძალით სპორტული ფიზიოლოგიის დარგში.

სპორტისადმი დიდმა სიყვარულმა, მწვრთნელებისათვის და ფიზკულტურის მასწავლებელთათვის სპორტსმენთა აღზრდის სულ უფრო რაციონალური სისტემისა და მეთოდების გამომუშავების ძლიერმა სურვილმა, ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ მოიყვანა ს. ნარიკაშვილი ფიზკულტურის ინსტიტუტში. ფიზიოლოგიის კათედრის ხელმძღვანელად. სასახელო მეცნიერული გზით მოვიდა აქ ჯერ კიდევ მაშინ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი. მან 1930 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო სახელგანთქმული ფიზიოლოგის აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. ჩონჩხის მუსკულატურის ინერვაციის საკითხებზე მუშაობის დროს მან გააცამტვერა იაპონელი პროფესორის ნაკანიშის მცდარი შეხედულება და თავისი ეს პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ფიზიოლოგიურ ჟურნალში გამოაქვეყნა. მას შემდეგ დღითიდღე ვითარდებოდა ახალგაზრდა მეცნიერის წარმატებანი, იწერებოდა ახალი გამოკვლევანი და შრომები, რომლებიც ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდებოდა. მის კალამს 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი ეკუთვნის. 1937 წელს ს. ნარიკაშვილმა საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრას ჩაუდგა სათავეში. მას აქეთ კიდევ უფრო ფართოდ და ღრმად გაიშალა შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობა, რომელიც მხოლოდ ამ ინსტიტუტის ფარგლებით არ ისაზღვრება. ამჟამად ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ს. ნარიკაშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტსაც.

სერგი პავლეს-ძეს უყვარს ახალგაზრდობა და ყოველთვის დიდი ხალისით მუშაობს მათთან, უზიარებს მათ თავის მდიდარ მეცნიერულ გამოცდილებას. მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობენ ფიზკულტურის ინსტიტუტის აღზრდილები ვ. არუთინოვი, სპორტის ოსტატი დ. კაპლოვი და სხვები. სტუდენტთა სამეცნიერო წრეების საშუალებით ს. ნარიკაშვილმა ფიზიოლოგიის მეცნიერებას დაუახლოვა და აზიარა სპორტის ოსტატი შ. ჩახნაშვილი, ი. ვარდიშვილი და სხვა სტუდენტები, რომლებიც ახლა მეცნიერებათა კანდიდატის მაღალ წოდებას ატარებენ. საკანდიდატო დისერტაციებზე პროფესორის ხელმძღვანელობით წარმატებით მუშაობენ აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები ზ. თავართქილაძე, კალათბურთელი ა. არუცევი, ძალოსანი ა. მელია და სხვ.

უკვე ათი წელია, რაც ფიზიოლოგიის კათედრა ს. ნარიკაშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით იკვლევს ფიზიკური აღზრდისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს — აქტიური დასვენების საკითხს, რომელსაც უკვე რამდენიმე ათეული ნაშრომი მიეძღვნა. ეს ნაშრომები გამოქვეყნდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ჟურნალებში, არამედ საზღვარგარეთაც. მაგალითად, ამას წინათ გერმანულ ჟურნალში დაიბეჭდა შ. ჩახნაშვილის შრომა „წვრთნის გავლენა დაღლის განვითარების ხასიათზე", ხოლო ჟურნალ „ბიოფიზიკაში" დოცენტ ლ. ჩხაიძის გამოკვლევა — „ადამიანის სიარულის კოორდინაციული სტრუქტურის ცვლილებანი მაღალმთიან პირობებში".

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის მუშაობა სპეციალისტებში საერთო მოწონებას იმსახურებს.

**რ. რიჟინაშვილი**

# სტალინირი—თბილისი—ერევანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სტალინირელმა ფიზკულტურელებმა არჩევნებს მიუძღვნეს აგიტლაშქრობა მარშრუტით: სტალინირი-გრომი-ზაყორი-წირქოლი-ლენინგორი. ლაშქრობის მონაწილეებმა თან წაიღეს საარჩევნო ლიტერატურა, პლაკატები, გამართეს სააგიტაციო საუბრები.**

**არჩევნებს მიეძღვნა აგრეთვე მეორე ღონისძიება. 7 მარტს, სტალინირში, სტალინის სახელობის მოედანზე სტარტი მიეცა მოტოგადარბენას. გადარბენის მარშრუტია: სტალინირი-თბილისი-ერევანი. მასში მონაწილეობას იღებს 10 კაცი.**

**სურათზე: გადარბენის მონაწილენი სტალინირ-გორის გზაზე.**

**ფოტო ვ. უბოჟენკოსი.**

# პირველი კალენდარი—საინტერესო ღონისძიებები

რესპუბლიკურ და საქალაქო შეჯიბრებათა ოქმებში პირველად გასული წლის დამლევს გამოჩნდა „განთიადის" სპორტსმენთა გვარები და გუნდები, რომლებიც მიუხედავად მათი ესოდენ „მცირე ასაკისა" გვერდში ამოუდგნენ უკვე საკმაოდ ცნობილ „დინამოს", „სპარტაკის", „კოლმეურნის", „ბურევესტნიკის" ძლიერ კოლექტივებს. განთიადელებმა დროზე ჩამოაყალიბეს გუნდები, სექციებში გაჩაღდა მუშაობა. მიმდინარე წელი კი სპორტმასობრივ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შედგენით დაიწყეს, რომელშიც ძირითადი ყურადღება გადატანილია კომპლექსურ ღონისძიებებზე ძირეულ კოლექტივებში.

საქართველოს პროფკავშირების საზაფხულო სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის 15 ივლისამდე უნდა დამთავრდეს ძირეული კოლექტივების, ხოლო 1-ლ აგვისტომდე — „განთიადის" საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების სპარტაკიადები, რის შემდეგ 2-დან 6 აგვისტომდე თბილისში გაიმართება სპარტაკიადის ფინალური შეხვედრები და დაკომპლექტდება ნაკრები გუნდები პროფკავშირების VI საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის ჩატარება ნავარაუდევია აგვისტოს მეორე ნახევარში მოსკოვში.

3-7 აპრილს „განთიადის" სამბისტები მონაწილეობას მიიღებენ მინსკში გამართულ საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაზე, ხოლო 11-14 აპრილს ცენტრალური საბჭო მცხეთაში ჩაატარებს თავის პირველობას საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში და ნაკრებ გუნდს მიავლენს ფოთში, სადაც ათი დღის შემდეგ დაიწყება ნიჩბოსანთა შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" ჯილდოზე. 5-6 რიცხვებში თბილისში გაიმართება ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა მძლეოსნობაში. შეირჩევა უძლიერესი სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ნალჩიკში გამართულ საკავშირო საგაზაფხულო შეჯიბრებაში, რომელიც 19-დან 23 აპრილამდე გაგრძელდება. თითქმის ამავე დღეებში „განთიადის" სპორტსმენთა მეორე ჯგუფი — მოცურავეები გამარჯვებისათვის იბრძოლებენ კიევში, ხოლო 2-6 აპრილს — მოსკოვში, წყალში ხტომაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" ჯილდოზე. 11-16 აპრილს სტალინოში მოეწყობა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ძალოსანთა პირადი პირველობა, სადაც თავიანთ ძალებს გამოსცდიან „განთიადის" სპორტსმენებიც.

საინტერესო ღონისძიებების ჩატარებაა ნავარაუდევი მაისში. რესპუბლიკაში ავტოსპორტის განვითარების მიზნით პირველ ნახევარში გაიმართება ცენტრალური საბჭოს პირველობა მსუბუქი მანქანებით, ხოლო შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე. ორ დღეს გაგრძელდება ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ველოსპორტში ტრეკზე, რომელიც 17 მაისს დაიწყება თბილისში. 22-26 მაისს „განთიადის" ნაკრები გუნდი რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის იბრძოლებს მოტოკროსში.

13-15 ივნისს თბილისში განზრახულია ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობის ჩატარება აკრობატიკაში, ხოლო რუსთავში მოეწყობა პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

ივლისში გარდა იმისა, რომ „განთიადის" სპორტსმენები „აშხატანკისა" (სომხეთი) და „ნეფტიანიკის" (აზერბაიჯანი) სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ალპინიადაში კავკასიონზე (ივლისი-აგვისტო) და პირველ ტურისტულ შეკრებაში, ველოსიპედისტთა ნაკრებ გუნდს მიავლენენ ლენინგრადში, სადაც 18-დან 24-მდე ჩატარდება საკავშირო პროფსაბჭოს პირად-გუნდური პირველობა.

თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის უძლიერეს წყალბურთელთა სამატჩო შეხვედრები გაიმართება სოხუმში 19-23 სექტემბერს, ამავე თვეში დაიწყება და ოქტომბერში გაგრძელდება მძლეოსნური კროსები ადგილებზე. 12-15 რიცხვებში თბილისში ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში გამარჯვებისათვის იბრძოლებენ ოლქების, ქალაქებისა და რაისაბჭოების მაგიდის ჩოგბურთელები, რის შემდეგ უძლიერესთაგან დაკომპლექტებული ნაკრები გუნდი 23-დან 29 სექტემბრამდე მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პროფსაბჭოს პირველი ზონის გუნდების სამატჩო შეხვედრაში, რომელიც ბაქოში ჩატარდება. ძალოსანთა ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა გათამაშდება 19-22 სექტემბერს. ამავე თვეში მინსკს მეორედ ეწვევიან „განთიადის" სპორტსმენები, ამჯერად მსუბუქი მანქანებით საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო ველოსიპედისტები (ტრეკი) გეზს აიღებენ ხარკოვისაკენ, სადაც ნავარაუდევია საკავშირო პირველობის ჩატარება 24-29 სექტემბერს.

საკმაოდ მდიდარია ოქტომბერი. მას შემდეგ, რაც დამთავრდება (9-12) ცენტრალური საბჭოს პირველობა ველოსპორტში (გზატკეცილი და კროსი), ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში, რომელიც 22 ოქტომბერს დაიწყება თბილისში. 3-6 ოქტომბერს კი სოხუმში გათამაშდება „განთიადის" პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, ხოლო 16-23 ოქტომბერს ცენტრალური საბჭოს ნაკრები აქვე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ ჩემპიონატში. ცენტრალური საბჭოს შეჯიბრების ჩატარება წყალში ხტომასა და ცურვაში განზრახულია ბათუმში 3-6 რიცხვებში. თბილისში 31 ოქტომბერს დაიწყება და ოთხ დღეს გაგრძელდება პირველობა ტყვიით სროლაში, რომელიც გამოავლენს „განთიადის" პირველ ჩემპიონს. ამ თვეში კიდევ ერთი ღონისძიების ჩატარებაა ნავარაუდევი სოხუმში — ჩოგბურთელთა პირად-გუნდური პირველობა 14-17 ოქტომბერს. 2-6 რიცხვებში თბილისში გაიმართება რესპუბლიკური გუნდური პირველობა ძალოსნობაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს „განთიადის" კოლექტივიც.

15-16 ნოემბერს რესპუბლიკის დედაქალაქში გათამაშდება ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში, ხოლო 2-8 დეკემბერს გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ჩემპიონატში. ნოემბერშივე გაიმართება მოჭადრაკეთა და მოშაშეთა პირველობა. დეკემბერში (მეორე ნახევარი) გორკში ძალოსნები „განთიადის" ღირსებას დაიცავენ საკავშირო გუნდურ პირველობაზე.

აღნიშნულთა გარდა თითქმის ყოველ თვეში ეტაპების მიხედვით გაიმართება შეჯიბრებები ძირეულ კოლექტივებში, ოლქებში, ქალაქებში, რაიონებში სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. ცენტრალურ საბჭოს განზრახული აქვს აგრეთვე გამართოს სამატჩო შეხვედრები კრივში, კლასიკურ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში და სპორტის სხვა სახეობებში.

ოქტომბერში თბილისში გაიმართება „განთიადისა" და ეგვიპტის პროფკავშირთა კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა, მაისში განთიადელებს საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ეწვევა ინგლისის წყალბურთელთა გუნდი „პოლიტექნიკ ვატერპოლო". აგვისტოში ფეხბურთელთა გუნდი (ტტს) საერთაშორისო მატჩში მიიღებს ეგვიპტის პროფკავშირთა ნაკრებს.

# იზრდება ცვლა

თბილისის ჭაბუკთა პირად-გუნდურმა პირველობამ ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, ცხადჰყო, რომ დედაქალაქის მოჭიდავეებს საიმედო ცვლა ეზრდება. ჭაბუკ მოჭიდავეთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ა. ცხადიაშვილი და გ. ბასიაშვილი (განათლების განყოფილება), ი. ვალიშვილი და დ. თეთრაშვილი („დინამო"), ჩ. ქუცნიაშვილი („კოლმეურნე"), ნ. სახიაშვილი და გ. კახაბრიშვილი (გარეუბანი), ნ. ნავროზაშვილი და ი. წიკლაური („შრომითი რეზერვები").

შეჯიბრებაზე თავი იჩინა აგრეთვე ზოგიერთ სპორტსაზოგადოებათა მუშაობის ნაკლოვანებებმა. „დინამომ" შვიდი მოჭიდავით მხოლოდ ოთხ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა, გარეუბნის გუნდმა ოთხი პირველი ადგილი მოიპოვა, სამაგიეროდ სამ წონაში უკანასკნელ ადგილებზე აღმოჩნდა მაშინ, როცა თბილისის განათლების განყოფილების გუნდმა მხოლოდ ორი პირველი ადგილი მოიპოვა, მაგრამ მაინც საერთო პირველ ადგილზე გამოვიდა, რადგან მისი დანარჩენი ექვსი მოჭიდავე მეორე ადგილზე უკან არ გამოსულა. გარეუბნის გუნდი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა, ხოლო „შრომითი რეზერვებისა" — მესამეთი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჭაბუკთა შორის თბილისის ჩემპიონები გახდნენ უ. ხორგუაშვილი („შრომითი რეზერვები"), ი. ვალიშვილი („დინამო"), ჩ. ქუცნიაშვილი („კოლმეურნე"), ა. ცხადიაშვილი (განათლების განყოფილება), თ. თეთრაშვილი („დინამო"), ნ. ხახიაშვილი, გ. კახაბრიშვილი და ჯ. ოდიშვილი (სამივე გარეუბნიდან).

**მ. ხერხეულიძე**

# ქრონიკა

პარასკევს, 14 მარტს, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში საჯარო სხდომაზე მოსმენილ იქნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის გივი გაფრინდაშვილის მოხსენება თემაზე: „საქართველოს კლდენაკვეთი ნაგებობათა შესწავლისათვის".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დასწრება თავისუფალია.



...ბათუმში საწვრთნელ შე-...ებაზე იმყოფება სსრ ...შირის თასის მფლობე-... მოსკოვის „ლოკომოტი-...“, რომელიც ატარებს ...ჯიბრებებს ადგილობრივ ...უნდებთან.

...ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის ...ლოკომოტივისა“ და ბათუ-... „დინამოს“ შეხვედრის ...მენტი.

ფოტო ვ. ბაბაიანისა

# გათამაშების კალენდარი

**საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობა ფეხბურთში, „ბ“ კლასის მე-4 ზონა**

**13 აპრილი**

...„მეტალურგი“ (სტალინგრადი) — ...ბანი“ (კრასნოდარი). „სპარტაკი“ ...ევანი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). ... — (თბილისი) — „ბურევესტ-...“ (თბილისი).

**19 აპრილი**

...ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ...ტიორი“ (კადიევკა). „მეტალურ-... (სტალინგრადი) — „ლოკომოტი-... (ქუთაისი).

**20 აპრილი**

...ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „ლოკო-...ივი“ (არტემოვსკი). „სპარტაკი“ ...ვროპოლი) — „ტემპი“ (მახაჩ-...). „ყუბანი“ (კრასნოდარი) — ...რგი“ (გროზნო). „ტრუდი“ (ასტ-...ხანი) — ოსკ (თბილისი). „შირაქი“ ...ნინაკანი) — ოსკ (დონის როს-...). „სპარტაკი“ (ერევანი) — ...ტიორი“ (შახტი).

**24 აპრილი**

...მეტალურგი“ (სტალინგრადი) — ... (თბილისი).

**25 აპრილი**

...ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ...ლოკომოტივი“ (არტემოვსკი). „ნეფ-...ნიკი“ (ბაქო) — „შახტიორი“ (კა-...ევკა). „სპარტაკი“ (სტავროპო-ლი) — „თერგი“ (გროზნო). „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ტემპი“ (მახაჩყალა). „ტრუდი“ (ასტრახანი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი). „შირაქი“ (ლენინაკანი) — „შახტიორი“ (შახტი). „სპარტაკი“ (ერევანი) — ოსკ (დონის როსტოვი).

**30 აპრილი**

„მეტალურგი“ (სტალინგრადი) — „ტემპი“ (მახაჩყალა).

**2 მაისი**

„შირაქი“ (ლენინაკანი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი). „სპარტაკი“ (ერევანი) — „შახტიორი“ (კადიევკა). „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი). „ყუბანი“ (კრასნოდარი) — ოსკ (თბილისი). „ტრუდი“ (ასტრახანი) — „თერგი“ (გროზნო). „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — ოსკ (დონის როსტოვი). „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „შახტიორი“ (შახტი).

**6 მაისი**

„სპარტაკი“ (ერევანი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი). „შირაქი“ (ლენინაკანი) — „შახტიორი“ (კადიევკა). „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — ოსკ (თბილისი). „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი). „მეტალურგი“ (სტალინგრადი) — „თერგი“ (გროზნო). „ტრუდი“ (ასტრახანი) — „ტემპი“ (მახაჩყალა). „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „შახტიორი“ (შახტი). „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ოსკ (დონის როსტოვი).

**11 მაისი**

„ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „შირაქი“ (ლენინაკანი). „თერგი“ (გროზნო) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). „ტემპი“ (მახაჩყალა) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). „შახტიორი“ (შახტი) — „ტრუდი“ (ასტრახანი). ოსკ (დონის როსტოვი) — „მეტალურგი“ (სტალინგრადი). „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი) — „სპარტაკი“ (სტავროპოლი). „სპარტაკი“ (ერევანი) — საერთაშორისო შეხვედრა. „შახტიორი“ (კადიევკა) — „ყუბანი“ (კრასნოდარი).

**15 მაისი**

ოსკ (თბილისი) — „შირაქი“ (ლენინაკანი). „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ერევანი). „ტემპი“ (მახაჩყალა) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). „შახტიორი“ (შახტი) — „მეტალურგი“ (სტალინგრადი). ოსკ (დონის როსტოვი) — „ტრუდი“ (ასტრახანი). „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — საერთაშორისო შეხვედრა. „შახტიორი“ (კადიევკა) — „სპარტაკი“ (სტავროპოლი).

**16 მაისი**

„ლოკომოტივი“ (არტემოვსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი).

**20 მაისი**

„ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). „თერგი“ (გროზნო) — „სპარტაკი“ (ერევანი). „ტემპი“ (მახაჩყალა) — „შირაქი“ (ლენინაკანი). „ტრუდი“ (ასტრახანი) — „შახტიორი“ (კადიევკა). „მეტალურგი“ (სტალინგრადი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი). „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „შახტიორი“ (შახტი). „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — ოსკ (დონის როსტოვი). ოსკ (თბილისი) — საერთაშორისო შეხვედრა.

**25 მაისი**

ოსკ (თბილისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). „თერგი“ (გროზნო) — „შირაქი“ (ლენინაკანი). „ტემპი“ (მახაჩყალა) — „სპარტაკი“ (ერევანი). „ტრუდი“ (ასტრახანი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი). „მეტალურგი“ (სტალინგრადი) — „შახტიორი“ (კადიევკა). „ყუბანი“ (კრასნოდარი) — ოსკ (დონის როსტოვი). „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — „შახტიორი“ (შახტი).

**30 მაისი**

„სპარტაკი“ (ერევანი) — „ტრუდი“ (ასტრახანი). „შირაქი“ (ლენინაკანი) — „მეტალურგი“ (სტალინგრადი). „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი). „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (სტავროპოლი). „შახტიორი“ (შახტი) — ოსკ (თბილისი). ოსკ (დონის როსტოვი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი). „შახტიორი“ (კადიევკა) — „თერგი“ (გროზნო). „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი — „ტემპი“ (მახაჩყალა).

**3 ივნისი**

„სპარტაკი“ (ერევანი) — „მეტალურგი“ (სტალინგრადი). „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „ყუბანი“ (კრასნოდარი). ოსკ (დონის როსტოვი) — ოსკ (თბილისი). „შახტიორი“ (კადიევკა) — „ტემპი“ (მახაჩყალა).

**4 ივნისი**

„შირაქი“ (ლენინაკანი) — „ტრუდი“ (ასტრახანი). „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (სტავროპოლი). „შახტიორი“ (შახტი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი). „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი) — „თერგი“ (გროზნო).

**7 ივნისი**

„სპარტაკი“ (ერევანი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი). ოსკ (თბილისი) — „შახტიორი“ (კადიევკა).

**8 ივნისი**

„თერგი“ (გროზნო) — „შახტიორი“ (შახტი). „ტემპი“ (მახაჩყალა) — ოსკ (დონის როსტოვი). „ტრუდი“ (ასტრახანი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). „მეტალურგი“ (სტალინგრადი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი). „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — „შირაქი“ (ლენინაკანი).

# ...ესწავლის ...ირსია

...ობილია, რომ ხალხური თამა-... წინათ მეტწილად რელიგიურ ...ასწაულებზე ტარდებოდა. ცხა-... ახლა რელიგიური დღესასწაუ-... ვერ იზიდავს ხალხს, მაგრამ ...დღესასწაულებთან დაკავშირე-... თამაშობანი ზოგან კიდევ ...რჩა, მაგალითად, ადიგენის რაი-... სოფელ უდეში.

...ე მესხეთის ერთ-ერთი დიდი ... მრავალჭირნახული სოფელია. ...სოფელში ბევრი საინტერესო ...ჩვევაა შემონახული, რომლე-... უდაოდ შესწავლის ღირსია. ...ერის დღესასწაულთან და-...ებით უდეში წინათ ჭიდაო-...ტარებდნენ. ახლაც ამ დროი-... (თებერვლის პირველ ნახე-...) მთელი კვირის განმავლობა-...რდება შეჯიბრება ჭიდაობაში, ...ლიც ირგვლივ მდებარე სოფ-... არლის, ბოლაჯურის, ადიგე-... სხვათა მცხოვრებლებს იზი-... ჭიდაობას აწყობენ კალოზე. ...თოვლია ან ტალახი, კალოს ...ენ და ზედ აყრიან ბზეს. შე-...ების მიზანია გამოავლინოს უძ-...ესნი. მას ხელმძღვანელობენ ...საჯობენ მოხუცები, უკრავს ...აქი და დოლი. შეჯიბრება ტარ-... ქართულ, ე. წ. „თათრულ“ ...ავისუფალ ჭიდაობაში. მოჭიდა-... ჩვეულებრივი ტანსაცმლით ...ბენ, ხოლო „თათრული“ ჭი-...ისას შიშვლდებიან წელს ....

...აობის დამთავრების შემდეგ ... დღე, საღამოობით, საჭი-...მოედანზე ცეკვავენ ქალები, ... ბევრი მაყურებელი ესწრება. ...ბის ბოლო, მეშვიდე დღეს ... ფალავნის საბოლოო გამოვ-... შემდეგ ეწყობა ყეენობა, რო-...ც აქ ბერობანას უწოდებენ. ...ელ უდესა და მეზობელი ...ების ხალხური თამაშების ...ლა საინტერესო საქმეა.

**შ. ქორეთელი**

# მხოლოდ სამთო სამჭიდში

დასასრულს უახლოვდებოდა საქართველოს პირველობა სათხილამურო სპორტში, როცა ბაკურიანს ახალი სტუმრები — მოსკოვის სპორტსმენთა ერთი ჯგუფი ეწვია. მალე ისინი კოხტაგორას შეეფინენ და დილიდან საღამომდე ვარჯიშობდნენ სლალომსა და სწრაფდაშვებაში, რადგან სწორედ აქ იყო დანიშნული „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში.

ჩემპიონატის პირველი დღე სლალომისტთა შეჯიბრებას დაეთმო. მონაწილეთა სიმრავლის გამო სპორტსმენთა დაზღვევის მიზნით მსაჯთა კოლეგია იძულებული შეიქმნა ორი თანაბარი სიგრძის 550-მეტრიანი ტრასა მოეწყო 51 საკონტროლო კარით, რათა ერთ-ერთი ტრასის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში შეჯიბრება არ შეფერხებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ცდებში საკმაო მომზადება გამოავლინეს მოსკოვის სტალინის სახელობის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის, ბაუმანის სახელობის ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სატყეო-ტექნიკური აკადემიისა და სხვათა სპორტსმენებმა, ვაჟთა შორის გამარჯვებული მაინც ყაზახეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი პ. დელვერი გამოვიდა, რომელმაც ორი ცდით ყველაზე კარგი შედეგი — 2.07,3 აჩვენა. გამარჯვებულს მხოლოდ 0,3 წამით ჩამორჩა მოსკოველი ი. ლუკინი. 61 მონაწილიდან თბილისის გუნდის წევრმა ი. ჯანგობეგოვმა შეძლო მეშვიდე ადგილის მოპოვება — 2.27,5.

ქალთა 430-მეტრიან ტრასაზე მხოლოდ ერთმა, პირველ ადგილზე გამოსულმა ნ. ალექსანდროვამ (ბაუმანის სახელობის ინსტიტუტი) შეძლო პირველი თანრიგის ნორმატივის შესრულება — 1 44,6.

ტრასის სირთულის გამო საგრძნობლად შემცირდა მონაწილეთა რაოდენობა გიგანტურ სლალომში, რომლის სიგრძე ერთნახევარ კილომეტრს უდრიდა. აქ დელვერმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ იგი უძლიერესია ამ შეჯიბრებაზე. მან 2,3 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მისმა თანაგუნდელმა ვ. ბეკემ — 1.07,5. ისე როგორც ჩვეულებრივ სლალომში, აქაც მესამე ადგილი მოიპოვა ა. ფრეიდბერგმა (მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტი), ი. ჯანგობეგოვი გამოვიდა მე-8 ადგილზე.

მოულოდნელი იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ტ. როეკოვას წარმატება ქალთა გიგანტურ სლალომში, რადგან მას სპორტის ამ სახეობაში საკმაოდ მცირე გამოცდილება გააჩნია. სამაგიეროდ კარგად ფლობს ტექნიკას და გამბედავია, სწორედ ამან განაპირობა მისი გამარჯვება.

ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს სტარტი გადატანილ იქნა კოხტაგორას წვერზე, ხოლო ფინიშმა საბაგირო გზის ქვედა სადგურამდე დაიწია. მზად იყო ვაჟთა სწრაფდაშვების ტრასა. საკმაოდ რთული ... ბების მიუხედავად 41 მონაწილ... მხოლოდ სამმა მიატოვა შეჯიბრება. აქაც ვერავინ შეძლო დელვერის დამარცხება, რომელმაც ამ გრძელი და რთული მონაკვეთის გავლას 1.06,4 მოანდომა. მიუხედავად იმისა, რომ ი. ჯანგობეგოვი სწრაფდაშვებაში მერვე ადგილით დაკმაყოფილდა, სამთო სამჭიდში 61 სპორტსმენს შორის მე-6 ადგილზე გამოვიდა. პირველი ადგილი მიეკუთვნა დელვერს.

ქალთა შეჯიბრებამ სწრაფდაშვებაში ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ პირველობისთვის კარგად მომზადებულან ყაზახეთის მოთხილამურეები, რომელთა წარმომადგენელმა ლ. კოსტრომინამ ჩემპიონობა მოიპოვა და კიდევ ერთი პირველი ადგილი მოუტანა თავის გუნდს. მასვე მიეკუთვნა უძლიერესის სახელი სამთო სამჭიდში ქალთა შორის 5,69 საჯარიმო ქულით, რომელიც სლალომში მეორე და გიგანტურ სლალომში მესამე ადგილებისათვის მიეცა.

გუნდური პირველი ადგილი (ჩათვლაში შედიოდა 3 ვაჟისა და 1 ქალის შედეგი) 77 ქულით დაიკავეს ყაზახეთის სპორტსმენებმა. სტალინის სახელობის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტისა და ბაუმანის სახელობის ინსტიტუტის გუნდები გამოვიდნენ მეორე და მესამე ადგილებზე.

საქართველოს „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა მოიპოვეს მეექვსე ადგილი.

**ნ. ცნობილაძე,**
**შეჯიბრების მთავარი მდივანი.**

# რაიონულ თასზე

ცაგერის რაიონის სოფელ ნაკურალეში სამ დღეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი შეჯიბრება სათხილამურო სპორტში რაიონის გარდამავალ თასზე. სტარტზე გამოვიდა უფროსი ასაკის 10 და უმცროსი ასაკის 7 კოლექტივი. პროგრამაში იყო რბენა 3, 5, 10 კილომეტრზე, სწრაფდაშვება და ამანათრბენები 4×3 და 4×5 კმ-ზე.

პირად ჩათვლაში 3 კილომეტრზე რბენაში გოგონათა შორის გაიმარჯვა ცხუკუშერელმა მ. ყურაშვილმა, 10 კმ-ზე რბენაში ყველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა ა. გოლეთიანმა. ამანათრბენში ვაჟებისათვის 4×5 კილომეტრზე ფინიშთან პირველი მივიდნენ ცხუკუშერის საშუალო სკოლის სპორტსმენები, მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს ცაგერისა და ლასურიაშის წარმომადგენლებმა.

უმცროს ასაკში საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ლვირიშის შვიდწლიანი სკოლის მოთხილამურეებმა, რომლებსაც გადაეცათ გარდამავალი თასი. უფროს ასაკში თასის მფლობელები გახდნენ ცხუკუშერელი მოსწავლეები.

**გ. კოპალიანი**



თელავში დამთავრდა საქართველოს 1958 წლის პირადი პირველობა ძალოსნობაში, სადაც დამყარებულ იქნა სამი რესპუბლიკური რეკორდი.





* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: რეკორდსმენები — (მარცხნიდან) ი. ყუბანეიშვილი, რ. გალოიანი, ვ. რადიმაშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ევანსისა და ბურდილიონის დაბრუნების შემდეგ სამხრეთის უნაგირიდან მწვერვალის იერიში დაიწყეს ჰილარიმ და თენცინგმა. მათ აულეს ალდო საჰირო ჟანგბადის რაოდენობას, მაღლა აიტანეს უკანასკნელი ბანაკი და აღარ შემცდარან თავის წინამორბედთა მსგავსად. 1953 წლის 29 მაისს ევანსისა და ბურდილიონის გაკვალული გზით ისინი ავიდნენ ჩომოლუნგმას მწვერვალზე.




**ო. გიგინეიშვილი**

ევანსმა მიულოცა ჰილარსა და თენცინგს გამარჯვება და უკვდავი სახელი, მაგრამ რით შეეძლო თავის დამშვიდება... ნისლების მიღმა ისევ ბრწყინავდა ადამიანთაგან მიუღწეველი მაღალი კანგჩენჯანლა. გზა მისკენ შორი და ძნელი იყო, თითქმის ისევე, როგორც ჩომოლუნგმასაკენ.

* * *

საქართველოში ბატონყმობა ახალი გადავარდნილი იყო. ფასანაურში, იქ სადაც შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის ოდითგანვე ჩერდებოდნენ მოგზაურები. არაგვული კალმახი და მუხრანული ღვინო ყოველთვის იშოვნებოდა გზისპირა დუქანში. არც დუგლას ფრეშფილდს, ინგლისელ მოგზაურსა და მთამსვლელს აუხვევია ამ ადგილისათვის. გამოვლილი მძიმე გზისა და იალბუზზე, თეთნულდზე და მყინვარწვერზე ასვლის შემდეგ შეიძლებოდა ქართულ ღვინოზე დროს გატარებაც და შემხვედრთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაც — ფრეშფილდი ინგლისელთათვის ჩვეული სიამაყით ამტკიცებდა, რომ ის იყო პირველი ამსვლელი იალბუზზე, თეთნულდზე და მყინვარწვერზე, მაგრამ მაშინ არავის ახსოვდა ქართველი ვინმე იოსებ მოხევე, ერეკლე მეფის დავალებით, რომ ასულა მყინვარწვერზე და არც ყაბარდოელი ქილარი — იალბუზზე პირველი ამსვლელი. შეიძლება ეს არც ფრეშფილდმა იცოდა და ნებსით თუ უნებლიედ დაისაკუთრა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებზე პირველამსვლელის სახელი და შემდეგ გეზი ჰიმალაის მწვერვალებისაკენ აიღო.

ამ დროის შემდეგ გავიდა კარგა ხანი, 31 წელიწადი, სანამ ფერშფილდი სელასა და ჰარვუდთან ერთად მიუახლოვდებოდა კანგჩენჯანლას. მათ ცემუს ყინვარით შესძლეს კანგჩენჯანლას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის თხემზე გასვლა, რაც თითქოს მწვერვალისაკენ ერთადერთ გზას წარმოადგენდა, მაგრამ თხემის იქით წინწაწევაზე უარი სთქვეს.

შემთხვევითი არ იყო, რომ ფრეშფილდმა თავის თანამგზავრებთან ერთად კანგჩენჯანლას მიაშურა. ინდოეთში ჩასული ინგლისელები კარგად ხედავდნენ ქალაქ დარჯილინგის თავზე აღმართულ მრისხანე სახის ხუთთავიან ბუმბერაზს. სიკიმის სამთავროში, სადაც კანგჩენჯანლა მდებარეობდა მას „დიდი თოვლის ხუთ საკრძალავს“ ანუ კანგჩენჯანლას უწოდებდენ. ეს მწვერვალი შესახედავად იმდენად მრისხანე იყო, რომ ადამიანები მის მიმართ უნებლიე მოწიწებას გრძნობდნენ, ზებუნებრივ ძალას აწერდენ და თაყვანსა სცემდენ. სიკიმელთათვის ის იყო მათი ურიცხვი ღმერთთა საცხოვრებელი ადგილი და თვითონაც ღვთაება. ყოველი ადამიანი, რომელიც კანგჩენჯანლას თოვლებში შეადგამდა ფეხს, არღვევდა ღმერთთა მყუდროებას, იყო მათი მტერი და ამიტომ სიკიმელთა მტერიც.

სიკიმელი რაჯა ყოველთვის ცდილობდა ხელი შეეშალა ევროპიელებისათვის, რათა ისინი ახლოს არ გაკარებოდნენ კანგჩენჯანლას მიდამოებს მაგრამ კანგჩენჯანლა მდებარეობდა ზედ ნეპალის საზღვარზე, ახლოს ტიბეტთან და ბუტანთან და ამიტომ წარმოადგენდა მეტად დიდი მნიშვნელობის სტრატეგიულ რაიონს. ამავე დროს ინგლისელებმა მეტად ცუდათ იცოდენ თუ რა ხდებოდა ამ მიუდგომელ რაიონში. ეს მხარე აინტერესებდათ სამხედრო პირებს და მეცნიერებს. აინტერესებდათ მთამსვლელებსაც რომელთაც იზიდავდა კანგჩენჯანლას მრისხანე ხუთი ქონგური.

ადრე, როდესაც კანგჩენჯანლას ჯერ კიდევ სთვლიდენ უმაღლეს მწვერვალად მსოფლიოში, ინგლისელმა ნატურალისტმა ჯოზეფ ჰუკერმა რამდენჯერმე იმოგზაურა სიკიმის სამთავროში. ჰუკერი იყო პირველი მათ შორის ვინც დაათვალიერა კანგჩენჯანლას სამხრეთი და დასავლეთი მისადგომები. მაგრამ კანგჩენჯანლას პირველი მთამსვლური დაზვერვა ეს იყო ფრეშფილდის ექსპედიცია. მიუხედავად თავისი დიდი გამოცდილებისა ფრეშფილდი დაბრუნდა დაეჭვებული იმაში, რომ ადამიანები შეძლებენ ოდესმე კანგჩენჯანლაზე ასვლას.

ფრეშფილდის შემდეგ კანგჩენჯანლაზე უშედეგოდ ცდილობს ასვლას 1902 წელს ფრანგების ექსპედიცია გუილარმოდის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ შეძლო მიეღწია იმ დროისათვის სარეკორდო სიმაღლეს 7000 მეტრს და უკანვე გამობრუნდა.

1905 წელს კანგჩენჯანლასაკენ გაემართა ირლანდიელი ჟურნალისტის კროულის ექსპედიცია. კროულს ალპინიზმში არაფერი ესმოდა და მას მხოლოდ სენსაცია აინტერესებდა. კროულიმ მწვერვალზე ასვლა სცადა ყინვარ იალუნგის გავლით, მაგრამ მიაღწია მხოლოდ 6500 მეტრის სიმაღლეს. უფრო ზევით ასვლა ვერც კროულიმ და ვერც მისმა თანამგზავრებმა ვერ შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიციის შემადგენლობაში იყო რამდენიმე იტალიელი და შვეიცარიელი შესანიშნავი მთამსვლელი, აქ თავი იჩინა ექსპედიციის სრულმა მოუმზადებლობამ. 6100 მეტრის სიმაღლეზე ფეხი დაუცდა და დაიღუპა ექსპედიციის ერთი მებარგული. პირველ კატასტროფას რამდენიმე დღის შემდეგ მოჰყვა მეორე. სამი ადგილობრივი მებარგულე, იტალიელი დე რიგი და შვეიცარიელები გილიარმო და პაშჩი ერთ თოკზე გადაბმულები ეშვებოდნენ ქვევით დიდი დაქანების ზვავსაშიში ფერდობით. ერთი მებარგულე მოულოდნელად მოწყდა ფერდობს და თან წამოიღო ორი დანარჩენი და პაშჩი. დე რიგი და გილიარმო არ დაიბნენ. მათ აიღეს თოკი დაცვის მდგომარეობაში, დარტყმა მეტად ძლიერი გამოდგა. შემდეგ თოვლი ფეხქვეშ აუზვავდათ. ზვავმა წამოიღო ექვსივე. როდესაც ზვავი გაჩერდა დე რიგმა და გილიარმომ შეძლეს ნაზვავი თოვლიდან ამოსვლა დანარჩენები კი ღრმად იყვნენ ჩამარხულნი. გადარჩენილებმა დაჰკარგეს წერაყინები და თოვლში ჩამარხულთა გათხრა შიშველი ხელებით დაიწყეს, მალე მათ წერაყინით ჩამოეშველა შვეიცარიელი რეიმონი მაგრამ მშველელთა ძალები მაინც მცირე იყო. მხოლოდ სამი დღის შემდეგ მიაგნეს დაღუპულებს.

სანამ სამი ადამიანი თავგანწირულად იბრძოდა ამხანაგების გადასარჩენად, ექსპედიციის უფროსი იქვე მახლობლად იჯდა კარავში, თბილ ჩაის შეექცეოდა და სწერდა სტატიას გაზეთისათვის იმის შესახებ თუ რამდენი ხიფათი იცის მთამ. კროულს ხელიც არ გაუნძრევია ამხანაგების გადასარჩენად. მალე ის გულდამშვიდებული დაბრუნდა ჯერ დარჯილინგში, ხოლო შემდეგ ირლანდიაში. საბოლოოდ კროული კმაყოფილი დარჩა აღებული ჰონორარით. მან არა მარტო აინაზღაურა ექსპედიციის ხარჯები არამედ დიდ მოგებაშიც დარჩა. ასეთი იყო მისი მორალი.

ხუთქონგურიან მწვერვალს კი დარჩა ხუთი პირველი მსხვერპლი. კროულის უშედეგო ცდას მოჰყვა ინგლისელი კელასის უშედეგოდ ცდების მთელი სერია. კელასი აკვიატებული აზრით შეპყრობილი, ადამიანივით მთელი ხუთი წლის განმავლობაში 1908-1912 წლამდე ცდილობს კანგჩენჯანლას მწვერვალზე ასვლას. საკვირველებად იყო, არა ის რომ კელასი მწვერვალზე ვერ ავიდოდა, არამედ ის, რომ ის ცოცხალი დაბრუნდა.

პირველმა მსოფლიო ომმა რამდენიმე ხნით შესწყვიტა ექსპედიციები ჰიმალაის მთებში. მაგრამ უკვე 1920 წელს ინგლისელები კვლავ გაჩნდენ კანგჩენჯანლას მისადგომებზე, ხოლო 1925 წელს აქ მოვიდნენ იტალიელები. მწვერვალი კი კვლავ აუსვლელი დარჩა.

1929 წელს იალუნგის ყინვარს მოადგა ახალგაზრდა ამერიკელი ფარმერი. მას თან მხოლოდ 3 ადგილობრივი მებარგულე ახლდა. სამივე მან ყინვარზე დასტოვა და მწვერვალისაკენ მარტო განაგრძო გზა. თუ ესმოდა რას აკეთებდა? უნდოდა მხოლოდ სენსაცია და გადარჩენის იმედი ჰქონდა, თუ იცოდა რომ ნამდვილად სიკვდილი მოელოდა და მწვერვალისაკენ თვითმკვლელობის მიზნით მიდიოდა? ალბად ამ კითხვაზე ვერავინ ვეღარ უპასუხებს. ფარმერი აღარ დაბრუნებულა და ის აღარავის არ უნახავს არც მკვდარი და არც ცოცხალი.

იმავე წელს კანგჩენჯანლასაკენ გაემართა გერმანელ მთამსვლელთა ექსპედიცია პაულ ბაუერის ხელმძღვანელობით. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს იყო პირველი ექსპედიცია, რომელსაც თავისი ძალებით შეეძლო ნამდვილად შეჰიდებოდა კანგჩენჯანლას მწვერვალს. ექსპედიცია ზემუს ყინვარის მხრიდან მოვიდა მწვერვალის ძირში. ის თითქოს იმეორებდა ფრეშფილდის გზას, მაგრამ აქ იყო პაულ ბაუერის შეცდომაც. მას უნდა სცოდნოდა, რომ თავის დროზე ფრეშფილდის პესიმიზმი არ იყო უსაფუძვლო. გზა კანგჩენჯანლას სამხრეთ მწვერვალისაკენ, რომლის სიმაღლეა 8473 მეტრი და იქიდან გადასვლა მთავარ მწვერვალზე სახიფათო იყო, აშკარად აღემატებოდა ექსპედიციის ძალებს. ბაუერს, რომ თავის დროზე გამოეძებნა სწორი გზა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ 8000 მეტრზე უფრო მაღალი პირველი მწვერვალი, რომელსაც ფეხი შეადგა ადამიანმა, იქნებოდა არა ანაპურნა, არამედ კანგჩენჯანოა. დროც ვერ შეარჩიეს გერმანელებმა, გაზაფხულის მაგივრად შემოდგომა, მუსონშემდგომი პერიოდი.

ასვლა დაიწყო აღმოსავლეთის შტოქედით და მთავარი სიძნელეები თვით თხემზე დაიწყო. ეს იყო თოვლყინულიანი ქედი უამრავი ყინულის გუშაგებით აქოჩრილი. თხემის სიმაღლე 7000 მეტრს აღემატებოდა და უთვალავ ყინულის გუშაგებთან ბრძოლა ასეთ სიმაღლეზე მოითხოვდა საარაკო ნებისყოფასა და გამჭედაობას. გზა მხოლოდ წერაყინით იკვლეოდა, ყინულში იჭრებოდა საფეხურები, ფანჯრები, დერეფნები და გვირაბები. როდესაც ძირითადი სიძნელეები თითქოს უკვე უკან იყო მოტოვებული, ამინდი მკვეთრად გაუარესდა, ნამდვილად დაზამთრდა, აღარც ძალა შერჩა ჯგუფს, რომ დაეძლია უკანასკნელი მწვერვალისწინა მონაკვეთი.

ბაუერის ჯგუფი უკან დაბრუნდა. ამასთანავე გერმანელები დაბრუნდენ მტკიცე რწმენით, რომ მათ აღმოაჩინეს სწორი გზა მწვერვალისაკენ. მიუხედავად ამისა შემდგომმა ექსპედიციამ, რომელსაც დირენფურტი ხელმძღვანელობდა, სრულიად საწინააღმდეგო გეზი აირჩია მწვერვალისაკენ. ეს იყო ინტერნაციონალური ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ შვეიცარიელები, გერმანელები, ავსტრიელები და ინგლისელები. მათ მწვერვალზე ასვლა დაიწყეს 1930 წლის აპრილში ჩრდილო-დასავლეთის ფერდით, მაგრამ ის რაც წინასწარ მათ მხოლოდ ფერდად მიაჩნდათ, სინამდვილეში ნამდვილი კედელი აღმოჩნდა. ეს ცხადი გახდა მაშინ, როდესაც უკვე კედლის ძირში იმყოფებოდნენ და გეზის შეცვლაზე ფიქრი უკვე გვიან იყო. დირენფურტმა გადასწყვიტა მაინც ეცადა ბედი. ეს იყო მწვერვალზე კედლით ასვლის პირველი ცდა ჰიმალაის მთებში. კედლის დასაწყისშივე ზვავში მოყვა და დაიღუპა მებარგულე ჩეთანი. ამით ფაქტიურად დასრულდა ექსპედიციის ცდაც კანგჩენჯანლაზე ასვლისა. ახალი გეზის ძიებამ მწვერვალისაკენ ნაყოფი არ გამოიღო.

დირენფურტის ექსპედიციის შედეგებს მოუთმენლად მოელოდა ბაუერი და 1931 წლის გაზაფხულზე კვლავ მიადგა კანგჩენჯანლას. მას კვლავ სწამდა, რომ ერთად ერთი შესაძლებელი გზა მწვერვალისაკენ არის ის, რომელიც მან ვერ დასძლია ორი წლის წინ. ბაუერმა ჯგუფი საკმაოდ გააძლიერა. 9 მთამსვლელის მაგივრად გერმანიიდან წამოიყვანა 11 ყველაზედ ძლიერი ალპინისტი. სამაგიეროდ, ახლა ბედმა მას მთლიანად შეაქცია ზურგი. ასვლის პირველივე ეტაპზე ავად გახდა და გარდაიცვალა მებარგულე ლობზანგი, რამდენიმე დღის შემდეგ მძიმე მოყინვები მიიღო მთამსვლელმა ბეიგელმა, კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ თხემის ერთ-ერთი გუშაგის გავლის დროს უფსკრულში გადაიჩეხენ და დაიღუპენ მთამსვლელი გერმან შალერი და მებარგულე ფაზანგი. მიუხედავად მძიმე დანაკლისისა ბაუერის ჯგუფი განაგრძობდა წინსვლას. ყოველ დღე სიძნელეები მრავლდებოდა, სიმაღლე მატულობდა, ჟანგბადი კლებულობდა. სუნთქვა ძნელდებოდა. მთამსვლელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მხოლოდ ცოტათი უნდა გაცდენოდენ 1929 წელს მიღწეულ წერტილს და მთავარი სიძნელეები უკან დარჩებოდა. შეიძლება ეს იყო ერთადერთი, რაც ანუგეშებდა მათ. ხანგრძლივი ბრძოლა თითქოს სულ მალე გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო და ადამიანი ფეხს შეადგამდა კანგჩენჯანლას მწვერვალს. ჯერ მანამდე მგონი არც ერთი ექსპედიციას ჰიმალაის მთებში არ ახსოვდა ძალების ასეთი უკიდურესი დაძაბვა, ასეთი მრავალი დღე გატარებული 7000 მეტრზე უფრო ზევით და ისიც მუდმივ შრომაში და ყინულებთან ბრძოლაში.

ყველასათვის აშკარა იყო, რომ ძალები ილეოდა. როგორც იქნა მიღწეულია წინა ექსპედიციის უკანასკნელი ნაბანაკარი ადგილი, მთამსვლელები ჰარტმანი და ვინი მიდიან კიდევ წინ და დიდის გაჭირვებით ადიან აღმოსავლეთის შტოქედის მწვერვალზე, სიმაღლე 7000 მეტრია და აქ დასრულდა გზაც — კანგჩენჯანლასკენ ილი გზის მაგივრად, როგორც ისინი ადრევე ვარაუდობდნენ. წინ იყო ტექნიკურად შეიძლება მართლაც მეტად ადვილი, მაგრამ იმდენად ზვავსაშიში ფერდობი, რომ მასზე გასვლა აშკარად, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, აშკარა სიკვდილს ნიშნავდა. ჰარტმანი და ვინი არ ენდვენ თავის თავს, არც მათი ამხანაგები იყვნენ განწყობილნი, რათა მათთვის დაეჯერათ. ამდენი ბრძოლისა და გაღებული მსხვერპლის შემდეგ ხელცარიელი უკან დაბრუნება იყო უფრო მძიმე, ვინემ კანგჩენჯანლასთან შებრძოლება...

ჰარტმანსა და ვინის რჩებოდათ ერთადერთი იმედი. იქნებ ზვავსაშიში ფერდობი სიმაღლით გამოწვეული მოჩვენება იყო. მეორე დღეს ზვავსაშიშ ფერდობამდე ამოვიდენ ალვეინი, პირხერი და კვლავ ვინი. ისინი დარწმუნდნენ, რომ ზვავსაშიში ფერდობი სრულიადაც არ იყო მოჩვენება. არსებობდა სინამდვილეში და მასზე გავლა მართლაც შეუძლებელი იყო.

კანგჩენჯანლა ამჯერადაც აუღებელი დარჩა.

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწ. იხ. „ლელო“ № 30.)

## ნაკრები გუნდის წევრები [illegible] კოლექტივთან

ამას წინათ ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივის მოწვევით აქ სტუმრად ჩამოვიდნენ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრები სპორტის ოსტატები: თ. ბეთანელი, მ. ნინოშვილი, ლ. გელუკაშვილი, ზ. გვეტაძე, ა. ნარიმანოვი, ო. ქორქია და სხვები.

საჩვენებელი გამოსვლების დაწყებამდე სპორტის ოსტატმა გ. ყირმელაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ტანვარჯიშის განვითარება საქართველოში“, შემდეგ მოეწყო ადგილობრივ და სტუმრად ჩამოსული სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლები.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა სპორტის ოსტატ ო. ქორქიას მიერ შესრულებულმა ვარჯიშებმა ღერძზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეჯიბრება ტაიჭზე გაგვერდმოვლებში.

კარგი იყო მ. ნინოშვილის მიერ შესრულებული ვარჯიშები დვირზე.

საღამოს დასასრულს პედინსტიტუტის დირექციისა და ფიზკულტურული კოლექტივის სახელით სტუმრებს მადლობა გადაუხადა დოცენტმა ს. ხოჯევანიშვილმა, რომელმაც გამარჯვებულებს გადასცა საჩუქრები.

ა. გელაშვილი

## პესიმისტური პროგნოზი

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალური ჯგუფის შემადგენლობა, საფრანგეთის სპორტულმა მიმომხილველებმა დაიწყეს მკითხაობა თავიანთი გუნდის შახსებზე მომავალ ჩემპიონატში (როგორც ცნობილია, საფრანგეთის ნაკრები ერთ ჯგუფში მოხვდა პარაგვაის, შოტლანდიისა და იუგოსლავიის გუნდებთან).

„ეკიპი“, მაგალითად, ერთობ სკეპტიკურადაა განწყობილი: „პარაგვაითან ფრანგებს არ უთამაშნიათ, ხოლო იმ 11 შეხვედრაში, რომელიც ჩვენ გვქონდა შოტლანდიისა და იუგოსლავიის გუნდებთან, მოგებული გვაქვს მხოლოდ 2 მატჩი“.

როგორც ჩანს, ფრანგების პესიმიზმი უსაფუძვლო არაა.

## გაუთავებელი მატჩი

სამხრეთ ამერიკის პირველობაზე წყალბურთში ჩემპიონის წოდება გაიყვეს ბრაზილიისა და არგენტინის გუნდებმა. მათი ფინალური მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მსაჯთა კოლეგიამ ხუთჯერ დანიშნა დამატებითი დრო, მაგრამ საბოლოოდ ანგარიშში მაინც ფრე იყო — 6:6.

გაზეთებმა ამ მატჩს გაუთავებელი უწოდეს

## დაღუპულთა პატივსაცემად

ამას წინათ ბრიუსელში შედგა ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სადაც ჩატარდა ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის კენჭისყრა.

აღმასკომმა ანგარიში გაუწია ინგლისური კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ თხოვნას, რათა მათ მოწინააღმდეგედ დაენიშნოს იმ სახელმწიფოს გუნდი, რომელიც ახლოს მდებარეობს ინგლისთან.

გადაწყდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეხვდება „მილანსა“ და „ბორუსიას“ (დორტმუნდი) შორის გამარჯვებულ გუნდს. მეორე ნახევარფინალში თამაშობენ „რეალი“ (მადრიდი)-„ვაშაში“ (ბუდაპეშტი).

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პ-მგ მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვების — 8-01-06

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00683